თეონა თავაძე *

პოლიტიკის მეცნიერება გერმანიაში ვაიმარის რესპუბლიკის პერიოდში

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია პოლიტიკური მეცნიერების ჩამოყალიბების ეტაპი გერმანიაში ვაიმარის რესპუბლიკის დროს. 1933 წელს ნაცისტური ტოტალიტარული რეჟიმის დამყარების შემდეგ პოლიტიკური მეცნიერების განვითარება შეწყდა და მრავალი მეცნიერი ემიგრაციაში წავიდა. ნაცისტურმა რეჟიმმა პოლიტიკური მეცნიერების ნაცვლად დაამკვიდრა სხვადასხვა იდეოლოგიზებული დისციპლინები, რომელთა დანიშნულებაც ნაციზმის პროპაგანდა და რეჟიმის ინტერესების მომსახურება იყო.

შესავალი

პოლიტიკის ანალიტიკური გააზრების მცდელობებს გერმანიაში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 1410 წელს ლაიპციგის უნივერსიტეტში პოლიტიკის შესახებ წაკითხული იქნა პირველი ლექცია,[1] მაგრამ პოლიტიკის შესახებ მეცნიერული ცოდნის და შესაბამისი საუნივერსიტეტო დისციპლინების ფორმირება გერმანიაში, ისევე როგორც დასავლეთის სხვა ქვეყნებში XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყის იწყება. პოლიტიკის მეცნიერების ჩამოყალიბება ცალკე სამეცნიერო სფეროდ როგორც შიდა, ასევე საგარეო ფაქტორებით განისზღვრებოდა.

ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ გამოიყენებოდა არც ცნება „პოლიტოლოგია“ და არც „პოლიტიკური მეცნიერებები“. „პოლიტიკის მეცნიერებების“ შესაბამის გერმანულ ალტერნატივად შეიძლება

---

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების მაგისტრანტი.

[1] Von Hehl U. John u. (2009) *Geschichte der Universität Leipzig 1409-2009 Bd 4. Senatskommission zur Erforschung der Leipziger Universität und Wissenschaftsgeschichte*

ჩავთვალოთ „სახელმწიფოს მეცნიერება“, რომელიც ჰერმან ჰელ-ლერს სურდა დაემკვიდრებინა, თუმცა წლების მანძილზე ეს პრაქ-ტიკულად შეუძლებელი აღმოჩნდა.[2]

ერთ-ერთი პირველი ვინც XX საუკუნის დამდეგიდან პოლი-ტიკის შესწავლით დაინტერესდა მაქს ვებერი იყო. ის პრობლემას ხედავადა არამხოლოდ ამ სფეროს სიახლეში, არამედ იმდროინ-დელი გერმანული ელიტის ამ საკითხით ნაკლებ დაინტერესებაში. მაქს ვებერის ერთ-ერთი მხარდამჭერი ფრიდრიხ ნაუმანი იყო, სოციალ-ლიბერალი პოლიტიკოსი.[3] მან შემოიტანა ცნება „ნაცი-ონალ-სოციალიზმი“ და ითხოვდა, რომ შექმნილიყო „პოლიტიკის სასწავლებელი“ და 1918 წელს ომის დამთავრების შემდეგ დააარსა „მოქალაქეობრივი სკოლა“. მართალია იგი მალე გარდაიცვალა, მაგრამ მისი გავლენის შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ 1920 წელს „გერმანიის პოლიტიკის უმაღლესი სასწავლებელის“ დაარსება.[4]

„ნაუმანისტებად“ მოიხსენიებოდნენ სასწავლებლის დირექ-ტორი ერნსტ იეკჰი და სწავლების ხელმძღანელი თეოდორ ჰოისი. ერნსტ იეკჰი მიიჩნევა „პოლიტიკის მეცნიერების“ მამად ვაიმარის რესპუბლიკაში.[5] სასწავლებლის გახსნის ღონისძიებაზე ერნსტი გამოვიდა სიტყვით, მოიხსენია ფრანგული მაგალითი, - 1871 წელს დაარსებული Ecole Libre des Sciences Politiques და გამოთქვა იმედი რევანში აიღოთ წაგებული ომის სანაცვლოდ.[6] ოღონდ ომში მარცხისთვის უნდა ეპასუხათ არა სამხედრო რევანშით, არამედ

[2] Bleek W. (2001) *Geschichte der Politikwissenschaft in Deutschland Verlag C.H. Beck*

[3] Bleek W. (2001) *Geschichte der Politikwissenschaft in Deutschland Verlag C.H. Beck* გვ 199

[4] Bleek W. (2001) *Geschichte der Politikwissenschaft in Deutschland Verlag C.H. Beck*

[5] Bleek W. (2001) *Geschichte der Politikwissenschaft in Deutschland Verlag C.H. Beck* გვ 203

[6] Bleek W. (2001) *Geschichte der Politikwissenschaft in Deutschland Verlag C.H. Beck* გვ 200

გერმანიის სახელმწიფოებრივი და დემოკრატიული სიძლიერით. მას სურდა შექმნილიყო პოლიტიკური სწავლების „პრაქტიკული უმაღლესი სასწავლებლი“ ფრანგული მოდელზე დაყრდნობით. ამ სასწავლებელმა დიდი როლი ითამაშა გერმანიის სამოქალქო განათლებაში.

1925 წელს შეიქმნა „ნაციონალური ეკონომიკის ინსტიტუტი“. მისი წინამორბედი იყო სოციოლოგიისა და სახელმწიფო მეცნიერებების ინსტიუტი, რომლის დამაარსებელიც იყო ალფრედ ვებერი, მაქს ვებერის უმცროსი ძმა. ამ ინსტიტუტმა შექმნა სახელმწიფო სოციოლოგია, - თავისებური ხიდი მე-19 საუკუნის სახელმწიფო მეცნერებებსა და 1945 წლიდან აღორძინებულ პოლიტიკურ მეცნერებებს შორის.

პრობლემას წარმოადგენდა პოლიტიკის როგორც სამეცნიერი დარგის აღიარება, რადგან მკვლევართა ნაწილის აზრით პოლიტიკა არ იყო მეცნიერება. თეოდორ ჰოისის მიდგომის თანახმად პოლიტიკა თან იყო მეცნიერება და თან არა, ამავე აზრზე იდგნენ იმდროინდელ მეცნიერთა უმეტესობა. 1928 წელს ზიგფრიდ ლანდსჰუტი, ჰამბურგში გამოვიდა სამეცნიერო მოხსენებით „სოციოლოგიის კრიტიკა“. მისი მთავარი მიზანი იყო პოლიტიკისთვის, როგორც სამეცნიერო სფეროსთვის განვითარების შესაძლებლობის მიცემა. მას სურდა პოლიტიკა განხილული ყოფილიყო როგორც სამეცნიერო სფერო და მიაჩნდა, რომ სოციოლოგია ამ თვალსაზრისით მისი ხელისშემშლელი იყო. მისი აზრით, ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ სოციოლოგიას პირდაპირი კავშირი ჰქონდა „პოილიტიკის მეცნიერებების“ წინაპარ დარგთან „სახელმწიფო მეცნიერებებთან“.

დავა მიმდინარეობდა ასევე დისციპლინის სახელწოდების ირგვლივ. იყო რამდენიმე შესაძლო ვარიანტი. ერთ-ერთი იყო „პოლიტიკოლოგია“ რაც დღევანდელი ცნება „პოლიტოლოგიის“ საწყის ვარიანტად მიიჩნევა, ეს ტერმინი პირველად გამოიყენა

გერჰარდ ნიმაიერმა 1934 წელს.[7] მაგრამ მისი რთული სტრუქტურიდან გამომდინარე, როგორც სამეცნიერო ტერმინი ვერ დამკვიდრდა.

„პოლიტიკური მეცნიერების“ სასწავლებელი ვაიმარის რესპუბლიკის პერიოდში

„სახელმწიფო მეცნიერებები“ რომელიც პოლიტიკის მეცნიერების წინაპრად მიიჩნევა, პირველ ეტაპზე ჰაიდელბერგის სოციალურ და სახელმწიფო კვლევების ინსტიტუტში გამოჩნდა.[8]

1920 წელს ბერლინში შექმნილი „გერმანიის პოლიტიკის უმაღლესი სასწავლებელი“ (Deutsche Hochschule für Politik) თავიდან აკადემიურ დაწესებულებად არ მიიჩნეოდა და აკადემიური ხარისხის მინიჭების უფლება არ ჰქონდა[9]. აკადემიური წრეების ზოგიერთი წარმომადგენელი მას ქედმაღლურად „მოზრდილთათვის შექმნილ გიმნაზიად“ მიიჩნევდა, მაგრამ ეს იყო პოლიტიკის მეცნიერული შესწავლის დასაწყისი. ამ სასწავლებელს, თავისი არსიდან გამომდინარე, ბევრი ფუნქცია დაეკისრა. მას უნდა განეხორციელებინა ტრადიციული პოლიტიკის სწავლება და ამასთან ერთად მოქალაქეობრივი შეხედულებების დამკვიდრება საზოგადოებაში. თავის მთავარ მიზნად სასწავლებელმა გაიხადა მაქს ვებერის იდეალური ტიპი „პოპულარული პირიდან“ პროფესიონალ პოლიტიკოსამდე“. მისი წარმომადგენლების უმეტესობა მიეკუთვნებოდა მემარცხენე ლიბერალების რიცხვს, სწორედ ამიტომ სკოლას უნდა ჰქონოდა ლიბერალ-დემოკრატიული პარტიების მხარ-

[7] იქვე

[8] Botsch G. (2006) *„Politische Wissenschaft“ im Zweiten Weltkrieg Ferdinand Schöningh Paderborn* გვ 38

[9] ეს უფლება მიიღო 1949 წელს, ხელახალი აღორძინების შემდეგ.

დამჭერი პოზიცია.[10] ამიტომაც სასწავლო გეგმაში გათვალსწინებული იქნა შესაბამისი სალექციო და სასემინარო კურსები: ფილოსოფია, ისტორია, სამართალი, პოლიტიკური იდეების ისტორია. „შიდა პოლიტიკის“ საკითხებში ისწავლებოდა თემები სახელმწიფო და ადმინისტრაციული სამართალი, მშრომელთა უფლებები და სახალხო უფლებები.

ჰერმან ჰელერი 1928-1932 წლებში ასწავლიდა სასწავლო ჯგუფს საგანს „შიდა პოლიტიკა და სახელმწიფოთმცოდნეობა“. მან დაამყარა კავშირი „სახელწმიფო სწავლებასა“: და ადრეულ პოლიტიკის სწავლებას შორის. ჰ. ჰელერი „სახელმწიფოთმცოდნეობას“ განიხილავდა პოლიტიკის მენციერების ნაწილად. მოგვიანებით პარტიულ კვლევებს შეურთდა ზიგმუნდ ნოიმანი, რომელიც მიიჩნევა გერმანიაში პოლიტიკური პარტიების კვლევის დამფუძნებელ მამად.[11]

ფილოსოფია და პოლიტიკის თეორია გაგებულ იქნა პოლიტიკური იდეების ისტორიად და ლიბერალიზმის წარმოსაჩენად გამოიყენებოდა, წამყვანი პოზიცია ეკავა ასევე ადოლფ გრაბოვსკის გეოპოლიტიკას, ასევე მას მიეწერება გაზეთ “პოლიტიკის გაზეთი“[12] დაარსება.

სასწავლებლის სამეცნიერო პერსონალი შერეული და ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო. მაგალითად იქ იყვნენ მინისტრი ჰუგო პროისი, ერიხ კოხი და ოიგენ შიფერი, მათ პარალელურად

[10] Bleek W. (2001) *Geschichte der Politikwissenschaft in Deutschland Verlag C.H. Beck*

[11] Bleek W. (2001) *Geschichte der Politikwissenschaft in Deutschland Verlag C.H. Beck* გვ 207

[12] Bleek W. (2001) *Geschichte der Politikwissenschaft in Deutschland Verlag C.H. Beck* გვ 212

გამორჩეული ადგილი ეკავათ პროფესორებს: ფრიდრიხ მაინეკეს, ვერნერ ზომბარტს და გერჰართ ფონ შულცე-გევერნიტცის.[13]

თეოდორ ჰოისი, რომელიც ფრიდრიხ ნაუმანის იდეებზე იყო გაზრდილი და შემდგომში მისი ბიოგრაფის დაწერაც მოახერხა, იყო ამ სასწავლებლის პირველი სასწავლო ხელმძღვანელი. მან 1932 წელს დაწერა წიგნი "ჰიტლერის გზა", რომელიც ერთგვარი გაფრთხილება იყო ჰიტლერისა და ნაციონალიზმის შესახებ. მართალია მას არ დაუტოვებია ქვეყანა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, მაგრამ აღინიშნება, რომ ის ე.წ. „შიდა ემიგრაციაში" იყო. სწორედ ამ პერიოდში დაწერა ნაუმანის ბიოგრაფია. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ თეოდორ ჰოისი მონაწილეობდა სასწავლებლის რეკონსტრქუციაში და „ხდება გერმანიის პრეზიდენტი, არა როგორც საგნობრივად განხილული პოლიტიკური მეცნიერი, არამედ, როგორც პოზიტიურ ჭრილში განხილული პოლიტიკის მეცნიერი".[14]

დოცენტების მეორე ჯგუფი, რომლებიც პოლიტიკურ სასწავლებელს მიეკუთვნებოდნენ, სოციალ-დემოკრატებად მიიჩნეოდნენ. მათ შორის იყო ორი მინისტრი რუდოლფ ჰილფერდინგი და გუსტავ რადბუხი. ასევე ფრიტც ნაფტალი, რომელიც ასწავლიდა პროფკავშირებისა და ეკონომიკის პოლიტიკას თუმცა, ლიბერალებისა და სოციალ-დემოკრატების პარალელურად იყვნენ მემარცხენე კონსერვატორი პროფესორები.

მათი შეხედულებების მიხედვით შეგვიძლია პროფესორები დავყოთ რამდენიმე ჯგუფად:

- ლიბერალები
- სოციალ-დემოკრატები

[13] Bleek W. (2001) *Geschichte der Politikwissenschaft in Deutschland Verlag C.H. Beck* გვ 208

[14] Bleek W. (2001) *Geschichte der Politikwissenschaft in Deutschland Verlag C.H. Beck* გვ 211

- მემარცხენე კონსერვატორები

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი ინტერესების სფერო და კვლევის თემატიკაც განსხვავებული იყო. როგორც აღვნიშნეთ, ზიგმუნდ ნოიმანი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც პარტიების თემატიკას იკვლევდა. თუმცა ამის პარალელურად აქტიური კვლევისა და ინტერესის საგნად რჩებოდა მშრომელთა უფლებები, გეოპოლიტიკა, საგარეო და სახელმწიფოებრივი თემატიკა.

წლიდან წლამდე იზრდებოდა სასწავლებლის რეიტინგი და კურსდამთავრებულთა რაოდენობაც, იცვლებოდა სასწავლო სქემაც. 1927 წელს კვალიფიკაციის მისაღებად საჭირო გახდა 4 სემესტრის გავლა. 1930 წლამდე 38 მსმენელმა წარმატებით დაასრულა სასწავლებელი 1932-1933 წლებში კი 17 სტუდენტმა აიღო დიპლომი.[15] სასწავლებელი რჩებოდა ლიბერალური იდეების მატარებლად სანამ 1933 წელს 16 აპრილს არ გადაკეთდა „ნაციონალ-სოციალისტურ სკოლად“

ნაცისტური ტოტალიტარიზმი და პოლიტიკური მეცნიერების დემონტაჟი

პოლიტიკის მეცნიერება შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დემოკრატიის მეცნიერება და მისი ადგილი ტოტალიტარულ სახელმწიფოში არ არის. თავისუფალი აზრის, ინიციატივის და მოქმედების დამკვიდრება, რაც ხშირ შემთხვევაში პოლიტიკური მეცნიერების მიზანია, ეწინააღმდეგება ტოტალიტარიზმის არსს. განსხვავებული აზრი შეიძლება მისი ნგრევის წინაპირობა გახდეს. ზუსტად ასე იყო 1933 წლიდან გერმანიის სახელმწიფოში. შესაბამისად მათ ინტერესებში არ იყო ისეთი სამეცნიერო დარგების არსებობა, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდიოდა მათ იდეოლოგიასთან. პო-

[15] Bleek W. (2001) *Geschichte der Politikwissenschaft in Deutschland Verlag C.H. Beck*

ლიტიკის მეცნიერებები, როგორც თავისუფალი აზრის განმავითარებელი წინაპირობა მიუღებელი აღმოჩნდა ახალი ხელისუფლებისათვის, შესაბამისად რჩებოდა ორი ალტერნატივა: პირველი გულისხმობდა მეცნიერების ამ სფეროს აღმოფხვრას, მეორე კი მის გამოყენებას საკუთარი მიზნების მისაღწევად. ნაცისტებმა მეორე ვარიანტი აირჩიეს. პოლიტიკის სწავლების მიზნად ფაშისტური იდეოლოგიის პროპაგანდა გამოცხადდა. უნივერსიტეტებს დაევალათ ახალი ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორემების და მრწამსის პოპულარიზება.

1933 წელს ჩატარდა სემინარი „პოლიტიკური სწავლებისთვის“ ამ პერიოდიდან გახდა აუცილებელი უნივერსიტეტებისათვის ფაშისტური პროპაგანდის სწავლება. აღსანიშნავია, რომ ნაცისტურ ხელისუფლებას ბევრი მხადამჭერი ჰყავდა, ბევრმა პროფესორმა და სტუდენტმა დაუჭირა მხარი მათ იდეოლოგიას და შეხედულებებს, აქედან გამომდინარე სულაც არ იყო ყველა შემთხვევა იძულებითი. მაგალითად, ლაიფციგის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტმა გამოთქვა ინტერესი რასების შესწავლასთან დაკავშირებით, რაც ფაშისტური იდეოლოგიის გაზიარები დასტური იყო. მათ ექსპერიმენტებს მრავალი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

1933 წელს „პოლიტიკის უმაღლესი სასწავლებელი“ დაექვემდებარა პროპაგანდის სამინისტროს და მისი ხელმძღანელი გახდა პაულ მაიერი.[16] აღსანიშნავია, რომ იმ მეცნიერთა კვალიფიკაცია, რომლებიც ხელისუფლების ცვლილების შემდეგ სასწავლებელში აღმოჩნდა, საკმაოდ დაბალი იყო. ყველაზე მაღალი სტატუსის მატარებელი იყო დოცენტი ალბრეხტ ჰაუსჰოფერი, რომელმაც გრაბოვსკის გეოპოლიტიკის სემინარის ხელმძღანელობა ითავა. ის არ

[16] Bleek W. (2001) *Geschichte der Politikwissenschaft in Deutschland Verlag C.H. Beck* გვ 230

იყო NSPD-ს წევრი, იზიარებდა „ახალგაზრდა კონსერვატების“ იდეებს და აკრიტიკიებდა საპარლამენტო დემოკრატიას ვაიმარის რესპუბლიკის დროს.

1933 წელს ფრანკფურტის უნივერსიტეტის რექტორი ერნსტ კრიკი გახდა, რომელსაც სურდა „სახალხო და პოლიტიკური მეცნიერებების“ ერთ სფეროში „რევოლუციური მეცნიერებების“ სახელის ქვეშ მოქცევა.[17]

1934 წელს 10 მაისს შეიქმნა „მეცნიერების, აღზრდის და სწავლების სახელმწიფო სამინისტრო“[18], რომელიც 1945 წლამდე განაგრძობდა არსებობას, მის დაქვემდებარებაში იყო ყველა სასწავლო დაწესებულება, იქნებოდა ეს სკოლა, უნივერსიტეტი თუ კვლევითი ორგანიზაცია. 1934 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოეხდინათ სასწავლო დაწესებულებების რეორგანიაზცია, თავდაპირველად რეფორმები სკოლებს შეეხო, მოხდა მათი რეკონსტრუქცია და სასწავლო სტურქტურის შეცვლა, შემდეგ კი უნივერსიტეტების ცვლილებების განხორციელება დაიწო, არასასურველი ფაკულტეტების და სასწავლო ორგანიზაციების გაუქმებას მოჰყვა „ხელისშემშლელი“ პროფესორების და დოცენტების თავიდან მოცილება, ხოლო უნივერსიტეტები გადაიქცა ბრძოლის იარაღად „სხვა რასების“ წინააღმდეგ.

1935 წელს ანტონ პალმემ სამინისტროს გადასცა „მემორანდუმი გერმანული საგარეო უმაღლესი სასწავლებლის“ შესახებ. იმდროინდელმა მინისტრმა ბერნარდ რუსტმა შესაბამისი ძალაუფლებით აღჭურვილ პირებს დაავალა შეექმნათ „საგარეო უმაღლესი

[17] Bleek W. (2001) *Geschichte der Politikwissenschaft in Deutschland Verlag C.H. Beck* გვ 238

[18] Botsch G. (2006) *„Politische Wissenschaft“ im Zweiten Weltkrieg Ferdinand Schöningh Paderborn* გვ 41

სასწავლებელი“[19]. 1940-1941 წლებში „საგარეო მეცნიერებათა ფაკულტეტს“ და „საგარეო მეცნიერებათა ინსტიტუტს“ დაევალათ რამდენიმე ამოცანის შესრულება:

- აღზრდა და უცხოეთის ექსპერტების მომზადება სახელმწიფოსათვის, ეკონომიკისა და კულტურისათვის;
- განსხვავებული ეროვნებების კვლევა;
- თარჯიმნების მომზადება და ტრენინგი;
- გერმანიის შესახებ ახალი წარმოდგენის შექმნა მსოფლიოში, საერთაშორისო ურთიერთობების შენარჩუნება/გაღრმავება[20]

ფაკულტეტის მიერ მკაცრად და არაორაზროვნად იყო განსაზღვრული სასწავლო მიზნები. დაარსებიდან ორი წლის განმავლობაში ფაკულტეტსა და ინსტიტუტს ბერლინის უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ერიცხებოდა 882.250 მარკა, რაიხსკანცლერისგან 50.000, ხოლო ადოლფ ჰიტლერის საქველმოქმედო ორგანიზაციიდან გერმანული მეცნიერებისათვის 30.000 მარკა. მიმართულებების ხელმღვანელები ვალდებული იყვნენ არ გადაეხვიათ მთავარი გზიდან.

1943-1944 წელბში შეიქმნა „საგარეო მეცნიერებათა ინსტიტუტის“ ვენის ფილიალი, ფაკულტეტისა და ამ ფილიალის მიმართულებები თითქმის ერთი და იგივე იყო: საგარეო პოლიტიკა და საგარეო კვლევები, პოლიტიკური ისტორია, საგარეო ვაჭრობა, კოლონიური პოლიტიკა, პოლიტიკური გეოგრაფია და გეოპოლიტიკა, ეროვნული უმცირესობების საკითხები, სახელმწიფოს და კულტურის ფილოსოფია, სამართლის საფუძვლები და საგარეო თავდაცვის პოლიტიკა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა დიდ ბრიტა-

[19] Botsch G. (2006) *„Politische Wissenschaft“ im Zweiten Weltkrieg Ferdinand Schöningh Paderborn* გვ 41

[20] Botsch G. (2006) *„Politische Wissenschaft“ im Zweiten Weltkrieg Ferdinand Schöningh Paderborn* გვ 70

ნეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებს და სხვა წამყვან სახელმწიფოებს.[21]

1939 წელს 3 ნოემბრის მონაცემებით ფაკულტეტს უნდა ჰყოლოდა 15 სრული პროფესორი, 6 პროფესორი, 6 დოეცენტი და 26 აისისტენტი. 1940-1945 წლებში პროფესორების რაოდენობამ შეადგინა 38. აქედან 24 იყო NSPD-ს წევრი.

რეფორმების მიღმა არ დარჩენილა არც „პოლიტიკის მეცნიერების უმაღლეს სასწავლებელი“ ნაციონალისტურ-სოციალისტურ სკოლად გადაკეთების შემდეგ მისი მთავარი დავალება პარტიის პროპაგანდა გახდა. 1940 წელს სასწავლებელი ბერლინის უნივერსიტეტის ნაწილი გახდა და წარმოადგენდა „საგარეო მეცნიერებების ფაკულტეტს“. ფაკულტეტის სასწავლო გეგმა შემუშავებული იქნა NSDAP-ს მიზნების შესაბამისად. პოლიტიკის სკოლამ დაკარგა უწინდელი სამეცნიერო საზრისი და ნაცისტების ხელში ბრძოლის იარაღად, პოლიტიზირებულ დაწესებულებად იქცა. მთავარ სასწავლო თემად კი პროპაგანდა და „რასობრივი კვლევები“ იქცა.

თავდაპირველად სანამ მოხდებოდა პროპაგანდის, როგორც უნივერსიტეტისთვის ოფიციალური დავალების შესრულების დამკვიდრება, ეს ფუნქცია ევალებოდა სპეციალურად შექმნილ სახელმწიფო ორგანოს, მას უნდა უზრუნველყო პარტიის იდეოლოგიის, როლის და დადებითი მხარეების პოპულარიზება. მთავარი დავალება იყო ფაშისტური იდეოლოგიის გათავისება. ამ ღონისძიებების ერთ-ერთ სავალდებულო ჩამონათვალში ვხდებით ე.წ. „კარვის საღამოებს“ აქ განიხილებოდა სხვადასხვა პრობლემატიკა, მიმდინარეობდა საუბრები ფაშისტური პოლიტიკის დადებით მხარეებზე და მსოფლიოში მიმდნარე პროცესებზე.

[21] Botsch G. (2006) *„Politische Wissenschaft“ im Zweiten Weltkrieg Ferdinand Schöningh Paderborn* გვ 76

ნაცისტური რეჟიმის პირობებში ბერლინის „პოლიტიკის უმაღლესი სასწავლებლის“ მთავარ სასწავლო თემებად იქცა პროპაგანდა, რასობრივი მეცნიერებები და სამხედრო პოლიტიკა. შემდგომში უფრო გაფართოვდა ამ სასწავლებლის პროფილი და შემოიღეს სამხედრო საბრძოლო ორგანიზაციის და ახალგაზრდა ჰიტლერელთა ორგანიზაცის კურსები. [22]

მას შემდეგ, რაც სასწავლებელი გაუქმდა და შეურთდა „საგარეო მეცნიერებათა ფაკულტეტს“ ბერლინში მისი დეკანი გახდა ფრანც ალფრედ სიქსი (1909-1975). მას უწოდებდნენ „პოლიტიკის, პროპაგანდის და მეცნიერების სფეროს მბრწყინავ ვარსკვლავს“, ის ჯერ კიდევ ოცი წლის ასაკში ნაცისტების მხადამჭერი იყო და სადოქტორო ნაშრომი დაიცვა NSPD-ს შესახებ. 1943 წლიდან ფაკულტეტის დეკანი გახდა კარლ-ჰაინც პფეფერი, რომელსაც სურდა შეექმნა გერმანული სახელმწიფოს მეცნიერებები ფრანგული ამერიკული და ინგლისური პოლიტიკური მეცნიერებების საფუძველზე, რაც არამომგებიანი იყო მესამე რაიხისთვის.

ნაცისტების დროს ბევრ მეცნიერს მოუწია გერმანიის დატოვება, მათ შორის იყვნენ ერნს ფრაენკელი, ჰერმან ჰელერი, კარლ ლიოვენშტაინი და სხვები. იმ მეცნიერთა რაოდენობა, რომლებმაც პოლიტიკის მეცნიერის სტატუსი ემიგრაციაში მოპოვეს 64-ს შეადგენდა.[23] შეიძლება ემიგრაციის ტალღა ორ ნაწილად გაიყოს, - ზემოთხსენებული ჯგუფი პირველი თაობა იყო, ხოლო მეორე თაობას ახალგაზრდა პოლიტოლოგები წარმოადგენდნენ, მაგალითად ჰაინც კისინჯერი, რომელმაც მშობლებთან ერთად 1938 წელს გერმანია დატოვა და აშშ-ში გადავიდა. მან დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტი საერთაშორისო ურთიერთობების განხრით. ის ის-

[22] Bleek W. (2001) *Geschichte der Politikwissenschaft in Deutschland Verlag C.H. Beck* გვ 231

[23] Bleek W. (2001) *Geschichte der Politikwissenschaft in Deutschland Verlag C.H. Beck* გვ 248

ევე, როგორც მეორე თობის თითქმის ყველა ემიგრანტი, აშშ-ში დარჩა და „ნამდვილი ამერიკელი“ გახდა.

გამოყენებული ლიტერატურა

Botsch G. (2006) *„Politische Wissenschaft“ im Zweiten Weltkrieg Ferdinand Schöningh Paderborn* გვ 76

Bleek W. (2001) *Geschichte der Politikwissenschaft in Deutschland Verlag C.H. Beck* გვ 238

Von Hehl U. John u. (2009) *Geschichte der Universität Leipzig 1409-2009 Bd 4. Senatskommission zur Erforschung der Leipziger Universität und Wissenschaftsgeschichte*

Teona Tavadze

Political Science in Germany During the Weimar Republic

Abstract

The article deals with the formation of the political science as a discipline during the Weimar Republic (Germany). After establishment of the Nazi totalitarian regime in 1933, the development of political science was stopped in Germany and most of the scientists emigrated from the country. The Nazi regime contributed to the emergence and establishment of different ideological disciplines, instead of political science, which were aimed at the propaganda of the Nazi regime and served to the interests of the government.